საიდ. №69814/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №190-03/13

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ე. ეგუტია (თავმჯდომარე), დ. ჭიჭინაძე, მ. ბაკურაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „როტმანს ოფ პალ მოლ ლიმიტიდ”-ის (ROTHMANS OF PALL MALL LIMITED) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №190-03/13), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 02 აგვისტოს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №1113/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის „Rothmans OF LONDON” (საიდ. №69814/03) დარეგისტრირება საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (34-ე კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 02 აგვისტოს №1113/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი

ნიშანი "Rothmans OF LONDON" შეცდომაში შემყვანია საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის მიმართ. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სასაქონლო ნიშანი შეიცავს სიტყვას "LONDON", რაც მომხმარებელს მიანიშნებს დიდ ბრიტანეთზე, რომლის დედაქალაქიცაა ლონდონი, ხოლო განმცხადებელი კომპანია კი არის შვეიცარული, რის გამოც, განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის თანახმად უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

აპელანტი კომპანია „როტმანს ოფ პალ მოლ ლიმიტიდ" არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, სასაქონლო ნიშნით „ROTHMANS" მარკირებული თამბაქოს ნაწარმი კარგად არის ცნობილი საქართველოს მომხმარებლისათვის, ვინაიდან აღნიშნული პროდუქცია საქართველოს ბაზარზე დამკვიდრდა მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მომხმარებელი პროდუქციას განასხვავებს სიტყვა „ROTHMANS"-ის მეშვეობით და არა სიტყვით „LONDON", რომელიც იკავებს ნიშანში უმნიშვნელო ნაწილს და მომხმარებელთა უმრავლესობა მას არ აქცევს ყურადღებას. აპელანტის მითითებით, სააპელაციო საჩივარს თან ერთვის საბუთი, რომელიც ადასტურებს ფაქტს, რომ კომპანია „Rothmans of Pall Mall Limited" წარმოადგენს ბრიტანული კორპორაციის „British Ameriken Tobacco p.l.c" (მისამართი: Globe House, 4 Temple Place, London, WC2R 2PG England) შვილობილ კომპანიას. აპელანტის პოზიციით, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ 2012 წელს სასაქონლო ნიშანი "ROTHMANS OF LONDON" (რეგ. №2644181) რეგისტრირებულია დიდ ბრიტანეთში შვეიცარული კომპანიის „Rothmans of Pall Mall Limited"-ის სახელზე 34-ე კლასში შემავალი საქონლისათვის. აპელანტის განმარტებით, სასაქონლო ნიშნის "ROTHMANS OF LONDON" (საიდ.№ 69814/03) რეგისტრაცია და მისი მომდევნო გამოყენება საქართველოს ტერიტორიაზე არ გამოიწვევს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის შესახებ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 02 აგვისტოს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №1113/03 ბრძანების ბათილად

ცნობას და სასაქონლო ნიშნის „Rothmans OF LONDON” (საიდ. №69814/03) დარეგისტრირებას საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ” ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „შესაძლებელს ხდის, მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს საქონლის თვისების, ხარისხის, გეოგრაფიული წარმოშობის ან საქონლის სხვა მახასიათებლების შესახებ”.

კოლეგია იზიარებს აპელანტის პოზიციას და მიაჩნია, რომ სააპელაციო საჩივარს თან ერთვის დოკუმენტი, სადაც მითითებულია, რომ აპელანტი კომპანია „როტმანს ოფ პალ მალ ლიმიტიდ” (ROTHMANS OF PALL MALL LIMITED) (მის: Zählerweg 4, Zug CH 6300), როგორც შვილობილი კომპანია, არის ინგლისური კომპანიის, კომპანია „ბრიტიშ ამერიკან ტობაკო პ.ლ.კ”-ს მთლიან მფლობელობაში. ვინაიდან, აპელანტი კომპანია წარმოადგენს ინგლისური კომპანიის „ბრიტიშ ამერიკან ტობაკო პ.ლ.კ”-ს შვილობილ კომპანიას და შედის მის მფლობელობაში შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის მიმართ აღარ მოხდება.

ამასთან, სასაქონლო ნიშანი უნდა დარეგისტრირდეს მთლიანობაში, ხოლო სიტყვიერი აღნიშვნა „LONDON” უნდა შევიდეს ნიშანში დაუცველი ნაწილის სახით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს და სასაქონლო ნიშნის „Rothmans OF LONDON” (საიდ. №69814/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველიც არ არსებობს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს

ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „როტმანს ოფ პალ მოლ ლიმიტიდ”-ის (ROTHMANS OF PALL MALL LIMITED) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 02 აგვისტოს №1113/03 ბრძანება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.
3. სასაქონლო ნიშანი „Rothmans OF LONDON” (საიდ. №69814/03) დარეგისტრირდეს მთლიანობაში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ, სიტყვიერი აღნიშვნისათვის „LONDON” დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვის მინიჭების გარეშე.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	ე. ეგუტია
წევრები:	დ. ჭიჭინაძე
	მ. ბაკურაძე